კვლავ ქულის გარეშე

“ნეფთჩი” – “დინამო” (თბილისი). 3:2 (2:1).

ბაქო. ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 15 ივნისი. 20.500 მაყურებელი.

“ნეფთჩი”: კრამარენკო, ღარიბოვი, დროზდოვი, უზბეკოვი, ხუდიევი, უახაბ–ზადე, შიხლაროვი (მიხაილევსკი), ახმედოვი (ა. ალიევი), პონომარიოვი, ყურბანოვი, ჯავადოვი.

“დინამო”: კუცია, დანელია, ჩივაძე, პაიკიძე, უკლება, კოპალეიშვილი (ჯოხაძე), სვანაძე, კერესელიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია (ჟორჟიკაშვილი).

გოლები: ცაავა (29), ახმედოვი (32, 42, 65), ჩივაძე (77).

მსაჯი: ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს შენგელია, დანელია.

დუბლიორები – 3:0.

თუ გადავხედავთ თბილისელთა შემადგენლობას, უთუოდ თვალში მოგვხვდებიან ის ახალი ფეხბურთელები, რომლებიც წელს გამოვიდნენ გუნდში. მაგრამ აქვე არიან გამოცდილი და მაღალტექნიკური ოსტატებიც. სწორედ მათზე ვამყარებთ იმედს. ბრძოლის სადავეები მათ უნდა ეპყრათ ხელთ და დინამოელთა თამაშის ტონის მიმცემებიც ისინი უნდა იყვნენ – პირველ რიგში ფინტის ოსტატ გუცაევს და სწრაფ დრიბლიორს შენგელიას ვგულისხმობთ. სამწუხაროდ, თბილისელთა გარემარბები ამ თამაშში თითქმის არ ჩანდნენ, რადგან მათ თანაგუნდელთა არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონიათ. გუნდის ფრთებს “არ ცნობს” ნახევარდაცვა, რომელიც ნიადაგ იმას ცდილობდა, როგორმე მოედნის ცენტრიდან გაერღვია მეტოქის დაცვითი კომუნიკაციები, რაშიც ამ დღეს აშკარად ხელი მოეცარა. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს – ცაავამ მოულოდნელი დარტყმით გაიტანა ეფექტური გოლი. მასპინძლებმა მაშინვე “ჩართეს” მაღალი სისწრაფე და ზუსტად სამი წუთის შემდეგ მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება, რომელიც ზუსტად გამოიყენა ახმედოვმა და ანგარიში გაქვითა. შესვენებამდე მანვე მიმართულება შეუცვალა მეკარე კუციას მიერ მოგერიებულ ბურთს და “ნეფთჩი” დაწინაურდა. ამ დღეს ახმედოვმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი, როცა ჯავადოვის დარტყმა უკუაგდო თბილისელთა კარის ძელმა, ბურთს პირველმა სწორედ მან მიუსწრო – ჰეთ–თრიკი.

შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება. გუნდის კაპიტანმა ჩივაძემ 25 მეტრიდან საჯარიმოს შესრულებისას ბაქოელთა ცოცხალი კედლის “შემოვლით” ბურთი ბაქოელთა კარის მარცხენა ქვედა კუთხეში გაგზავნა. დარჩენილ დროში თბილისელთა ცდას, გადაერჩინათ ქულა, შედეგი არ მოჰყოლია.

უ. ბედოშვილი.
“ლელო”, 18 ივნისი, 1983 წ.